პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 130 (3360)

1967 წლის 6 ივლისი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

წერილი რედაქციას

◆

გთხოვთ დაგვეხმაროთ!

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელსაც ცხინვალის რაიონის სოფელ გუჯაბაურის ახალგაზრდები ო. გოგოლაძე, ო. გოლათაევი, მ. ჭუმბურიძე, თ. ჯიოევი, ნ. საბაშვილი, ვ. კოზაევი აწერენ ხელს. ისინი ჩივიან, რომ არა აქვთ კლუბი, ბიბლიოთეკა, სპორტული ბაზები.

— თამარაშენის მთელს საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც ათამდე სოფელს აერთიანებს, მხოლოდ ორი სპორტული მოედანია,—გვწერენ გუჯაბაურლები. — უახლოესი სტადიონი ჩვენგან 4 კილომეტრითაა დაშორებული. საბჭოთა მეურნეობის დირექცია ასეთი პასუხით გვისტუმრებს: არც უფლება გვაქვს და არც მიწა იმდენი, რომ ყველა განყოფილებაში სპორტული მოედანი მოვაწყოთო. სოფელი იზრდება. ახლა იგი 750-ზე მეტ მოსახლეს ითვლის. განა ამ ხალხის კულტურული დასვენება ნაკლები მნიშვნელობის საქმეა? ეს ამბავი წლების მანძილზე გრძელდება. იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ.

გუჯაბაურელთა თხოვნა უთუოდ სამართლიანია და „ლელოს“ რედაქცია თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მესვეურთაგან საქმით გამაგრებულ პასუხს ელის.

საქართველოს სპორტკავშირში

მილიონს გადააჭარბა

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა შარშან ახალი წარმატებები მოიპოვეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი აქტივის დახმარებით. სპორტსაზოგადოებებსა და უწყებათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ფიზკულტურელთა რიგებს შეემატა 87.363 კაცი. ახლა მათი საერთო რიცხვია 1.029.740, რაც მოსახლეობის 22,5 პროცენტს შეადგენს. 19 ათასით გაიზარდა ჯანმრთელობის, ტურიზმის, თევზჭერისა და ნადირობის სექციებში მომეცადინეთა რიცხვი. საწარმოო და ჰიგიენურ ტანვარჯიშში ჩაბმულია 732 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე და მოსწავლე. ეს კი 51,881 კაცით მეტია 1966 წლის მაჩვენებელზე.

შარშან სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში მომზადდა 19 საერთაშორისო სპორტის ოსტატი, 207 სპორტის ოსტატი, 232 ოსტატობის კანდიდატი, 3.524 პირველთანრიგოსანი, 132.861 სხვა თანრიგების სპორტსმენი და 195.895 მშთ ნიშნოსანი.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ყოველივე ამის გამო, როგორც ცნობილია, გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში — ზედიზედ მერვედ დაისაკუთრა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი.

შარშანდელ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის საქართველოს სპორტკავშირმა გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო. გარდამავალი ვიმპელები და საპატიო სიგელები მიეკუთვნა „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ორგანიზაციებს.

სპორტკავშირმა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ რესპუბლიკური საბჭოები.

საპატიო სიგელებითა და ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეები ი. ბოჭორიძე და ვ. ქლენტი, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი, „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. კირვალიძე, „სპარტაკის“ რესპუბლიკური და „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოების თავმჯდომარეები ა. კორინთელი და თ. კაჭახიძე.

„ტყავის ბურთის პრიზზე“

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე, ოსტატ ფეხბურთელთა მატჩის წინ გაიმართა „ტყავის ბურთის პრიზის“ რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრების მონაწილეთა პარადი.

ნორჩ ფეხბურთელებს მიესალმა სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე და უსურვა წარმატებები წინამდებარე შეჯიბრებაში.

დღეს დაიწყება 22 გუნდის ფინალური თამაშები.

გუშინ...

„ა“ ჯგუფი II ზონა

„ლოკომოტივი“ ... უკან მიდის

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 5 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) 1:2 (1:1).

„ლოკომოტივი“: ლეჟავა, მირიანაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, იაშვილი, მუმლაძე, მაზიაშვილი (ჭელიძე), კაიშაური, გავაშელი, კოშკელოვი.

„როსტსელმაში“: ფროლკინი, დერემოვი, იანბორისოვი, იაცენკო, ეგოროვი, ნაკონეჩნი, ბორაშიანი, ნიკიტულკინი, ლევჩენკო, ანდრეენკო, გრიგორიევი.

მსაჯი გ. ზადოიანი (ერევანი).

დუბლიორები — 1:0 „როსტსელმაშის“ სასარგებლოდ.

თბილისის „ლოკომოტივს“ ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა გამოასწოროს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში და აინაზღაუროს დანაკარგი. საამისოდ მან, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყენოს თავისი მინდორი და ისეთი მეტოქეები, როგორიცაა, ვთქვათ, „როსტსელმაში“ — აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი. ასეთ შეხვედრებში ქულები ნაღდი უნდა იყოს.

მაგრამ გუშინ ასე არ მოხდა და სწორედ ამიტომ ვამბობთ: „ლოკომოტივის“ საქმე უკან მიდის.

ძნელი ასაწერია ის ელემენტარული, უხეშზე უხეში შეცდომები, რომლებსაც უშვებდნენ რკინიგზელთა მცველები. მატჩის დაწყებიდან გასული იყო სულ რამდენიმე წუთი, ხოლო ცენტრალური მცველის კოპინის ყოვლად უგემო, აბნეული თამაშის შედეგად თბილისელთა კარი რამდენიმეჯერ აღმოჩნდა აშკარა ხიფათის წინაშე. სტოპერს „მხარი აუბა“ გოგიამ და ამ „დუეტის“ შეცდომამ მე-12 წუთზე საშუალება მისცა ლევჩენკოს გაეხსნა ანგარიში.

ეს გოლი 21-ე წუთზე გაქვითა მუმლაძემ შორი, ზუსტი დარტყმით, მაგრამ ლოკომოტიველთა წარმატება ამით ამოიწურა. გუნდი განაგრძობდა უსისტემო, შეუთანხმებელ მოქმედებას და საკმარისი იყო როსტოველებს წამოეწყოთ იერიში, მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე სრული ქაოსი იქმნებოდა. ასე იყო 78-ე წუთზე, როცა ფრიდმანმა თავზე გადააცილა ბურთი საკუთარ მეკარეს და... ბადეში გაგზავნა იგი.

რ. ქორიძე.

„ბ“ ჯგუფი IV ზონა

საქართველოს ქალაქებში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

გორიდან...

ადგილობრივი „დილის“ უპირატესობა გურჯაანის „ალაზანთან“ გამოიკვეთა დასაწყისიდანვე. მასპინძლები უტევდნენ სწრაფად, ენერგიულად, მაგრამ ტაიმი დამთავრდა ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა.

შესვენების შემდეგ „დილის“ იერიშები უფრო გამწვავდა. 63-ე წუთზე ბურჯანაძემ პირველი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში. შემდგომში ფუტკარაძემ, რევაზიშვილმა და კაპანაძემ კიდევ სამჯერ აიღეს ალაზნელთა კარი, რასაც მხოლოდ ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა (ძამუკაშვილი). გაიმარჯვა „დილამ“ — 4:1.

გ. გოზალიშვილი.

სოხუმიდან...

სოხუმის დინამოელთა მატჩი ოქტემბერიანის „სევანთან“ დაიწყო მასპინძელთა მძლავრი იერიშებით და გოლით, რომელიც „სევანის“ მცველმა დარბინიანმა გაიტანა საკუთარ კარში.

მეორე ბურთის ავტორები უკვე დინამოელები გახლდნენ, რომელთა თავდამსხმელმა გადელიამ ზუსტად დააგვირგვინა კომბინაცია — 2:0.

არაფერი შეცვლილა შესვენების შემდეგაც, სოხუმელები კვლავ უტევდნენ და გადელიამ წერტილი დაუსვა თავისი გუნდის გამარჯვებას — 3:0.

შ. ჯალაღონია.

ჭიათურიდან...

მასპინძლებს — მაღაროელ ფეხბურთელებს თავიდანვე მოუხდათ რუსთავის „მეტალურგის“ ძლიერი დაწოლის მოგერიება. რამდენიმე მომენტი ჰქონდათ მასპინძლებსაც (მაგალითად, კოსტიუკს), მაგრამ მეტალურგებმა მაინც შეძლეს დაწინაურება 35-ე წუთზე კონიაშვილის მიერ გატანილი გოლის შედეგად — 1:0.

მეორე ტაიმში რუსთაველთა საჯარიმო მოედანზე წესის დარღვევისთვის დანიშნულ იქნა პენალტი და, თუმცა, ისინი კარგა ხანს ეწინააღმდეგებოდნენ მსაჯის გადაწყვეტილებას, 11-მეტრიანი მაინც შესრულდა. ეგოროვმა გაქვითა გოლი — 1:1.

დარჩენილ დროში „მაღაროელის“ დაცვამ დაუშვა შეცდომა, რომელიც გუნდს წაგების ფასად დაუჯდა: რუსთაველმა პაპიაშვილმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი — 2:1.

თ. შეყილაძე.

ბათუმიდან...

ქობულეთის „შუქურა“ თავის კალენდარულ მატჩებს კვლავინდებურად ბათუმის სტადიონზე ატარებს. მისი მოწინააღმდეგე ამჯერად იყო კისლოვოდსკის „სპარტაკი“.

სპარტაკელებმა მთელი მონდომებით ითამაშეს ეს მატჩი, რასაც ვერ ვიტყვით მასპინძლებზე: „შუქურა“ ინერტულად გამოიყურებოდა. მართალია, მეორე ტაიმში მას უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო 31-ე წუთზე შერემეტიევის მიერ გატანილი ბურთის გაქვითვა და დამარცხდა — 0:1.

ლ. ტრაპაიძე.

ფოთიდან...

ფოთის „კოლხეთმა“ ხანგრძლივი წარუმატებლობის შემდეგ შეძლო 2 ქულის აღება: ანგარიშით 2:0 დაამარცხა მაიკოპის „უროჟაი“.

თბილისელებმა იგი პირველად ამ ორი წლის წინ ნახეს, როცა სპორტის სასახლეში „ტანვარჯიშის დღესასწაული“ ჩატარდა. სახელგანთქმულ ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, ი. ტიტოვის, ვ. კერდემელიდის გვერდით გამოდიოდა სულ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ზინაიდა დრუჟინინაც. მართალია, იგი არც ერთ იარაღზე პირველი არ ყოფილა, მაგრამ უკვე მაშინაც იგრძნობოდა, რომ სულ მალე საბჭოთა ტანვარჯიშის დიდოსტატებს ახალი ვარსკვლავი ამოუდგებოდა მხარში.

გადიოდა დრო. ახალგაზრდა სპორტსმენის ოსტატობა თანდათან იხვეწებოდა და აი, საკავშირო სარბიელზე პირველმა წარმატებებმაც არ დააყოვნა. ყველაზე დიდი გამარჯვება დრუჟინინამ მაინც ამსტერდამის ევროპულ ჩემპიონატში მოიპოვა, სადაც II ადგილი დაიკავა სახელმოხვეჭილ ვ. ჩასლავსკას შემდეგ. ზინაიდამ ჩამოიტოვა ტანვარჯიშის ცნობილი ოსტატები — გერმანელი ცუპოლდი, საბჭოთა სპორტსმენი კუჩინსკაია, კრაიჩიროვა (ჩეხოსლოვაკია) და სხვ.

ჰოლანდიური გაზეთები ხოტბას ასხამდნენ დრუჟინინას, მის სილამაზესა და მოხდენილობას, არტისტულობას, მოძრაობათა არაჩვეულებრივ დინამიურობას და ჩინებულ მუსიკალობას. მას შემდეგ ზინაიდამ კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა „ფრიადზე“ — ამ დღეებში რსფსრ-ს სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

• • •

სურათზე: ზ. დრუჟინინა დვირზე ვარჯიშისას. ფოტო გადაღებულია ამსტერდამში ასპარეზობის დროს.

სსრ კავშირის პირველობა

მიკრორაიონში, დაბაში, ქალაქში...



სანახაობრივ შენობათა და სპორტულ ნაგებობათა ტიპიური და ექსპერიმენტული დაპროექტების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაამუშავეს სხვადასხვა დასახლებული პუნქტისთვის განკუთვნილი სპორტული ცენტრების რამდენიმე ტიპი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სპორტულ ცენტრს, რომელიც გათვალისწინებულია საცხოვრებელი რაიონებისა (24-36 ათასი მცხოვრები) და დაბებისთვის (12-16 ათასი მცხოვრები). ღია საცურაო აუზი (25×10 მ გათბობით) მთავარ შენობას უერთდება.

პროექტი დაამუშავეს ინსტიტუტის № 5 სახელოსნოში (ხელმძღვანელი ლ. ადლერი): არქიტექტორმა ვ. მაშინსკიმ, ინჟინრებმა ს. ბადმაევამ, ნ. სოროკინამ, ვ. ტიმოფეევმა და ო. რასტორგუევმა.

სსრ კავშირის სახმშენში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამშენებლო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1967 წლის 28 აპრილის ბრძანებით დაამტკიცა:

ქალაქების გაშენებისა და რეკონსტრუქციის დროს მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი სახლების ჯგუფებისთვის სავალდებულო სპორტულ ნაგებობათა სია.

საცხოვრებელი რაიონების, პატარა ქალაქებისა და სამრეწველო დაბების, აგრეთვე, სამრეწველო საწარმო-ახალმშენებლობათა დასახლებების გაშენებისა და რეკონსტრუქციის დროს სავალდებულო სპორტულ ნაგებობათა სია.

სსრ კავშირის სახმშენის ბრძანება უთუოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზის შემდგომ განვითარებაში.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილებით სსრ კავშირის სახმშენს დაევალა დაემუშავებინა ქალაქებისა და სამრეწველო საწარმო-ახალმშენებლობათა კომპლექსური გაშენებისა და რეკონსტრუქციის დროს სავალდებულო სპორტულ მშენებლობათა სია.

ეს საქმე გააკეთა სანახაობრივ შენობათა და სპორტული ნაგებობების ტიპიური და ექსპერიმენტული დაპროექტების ცენტრალურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, განიხილა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა და დაამტკიცა სსრ კავშირის სახმშენმა. სია შეთანხმებულია პროფკავშირთან, სპორტკავშირის ცენტრალურ საბჭოსთან და დოსააფ-ის ცენტრალურ კომიტეტთან.

ამ დოკუმენტის მნიშვნელობა უაღრესად დიდია, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, მათმა არქიტექტურულ-ხაგეგმო და არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანოებმა პროექტების განხილვისა და დამტკიცებისას, აგრეთვე, საბინაო მშენებლობის დროს მკაცრად უნდა დაიცვან სსრ კავშირის სახმშენის ბრძანება.

აღვნიშნავთ, რომ სიას საფუძვლად უდევს მოქმედი ტიპიური პროექტები.

სპორტკავშირის და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბინაო მშენებლობის გეგმის დამუშავებაში და გულდასმით გაუწიონ კონტროლი მის განხორციელებას. დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა დამტკიცებული ბრძანებიდან, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ინტერესებიდან.

სპორტულ ნაგებობათა აღჭურვა და საექსპლოატაციოდ გადაცემა მიკრორაიონებსა და საცხოვრებელ მასივებში უნდა წარმოებდეს საცხოვრებელი სახლების მწყობრში ჩადგომასთან ერთად.

ქალაქების გაშენებისა და რეკონსტრუქციის დროს მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი სახლების ჯგუფებისთვის სავალდებულო სპორტულ ნაგებობათა სია

საცხოვრებელი ჯგუფები 1,5-3,0 ათასი მცხოვრებით, რომლებიც მიკრორაიონში არ შედის

ძირითადი ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, კალათბურთისა და ფრენბურთის კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი — 1.200 კვ მ

მაგიდის ჩოგბურთის მოედანი (ორი მაგიდა) — 72 კვ მ

მიკრორაიონი

საცხოვრებელი სახლების თვითეულ ჯგუფზე 1,5-3,0 ათასი მცხოვრებით:

ძირითადი ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, კალათბურთისა და ფრენბურთის კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი — 1200 კვ მ

მაგიდის ჩოგბურთის მოედანი (ორი მაგიდა) — 72 კვ მ

ჩოგბურთის მოედნების ბლოკი მიკრორაიონის ბაღში. თითო მოედანი საცხოვრებელი სახლების ყოველ ჯგუფზე.

შენიშვნა: მიკრორაიონის ბაღში დასაშვებია ამ კომპლექსის სხვა ვარიანტით განლაგება (გარდა მაგიდის ჩოგბურთის მოედნებისა საცხოვრებელი სახლების ჯგუფში). ამ ვარიანტისთვის უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური ფიზკულტურული მოედნები (ძირითადი-ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის მოედნები, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნების ბლოკები) საერთო ფართობით: მიკრორაიონებისთვის 6 ათას კაცზე — 5100 კვ მ, 9 ათას კაცზე — 6700 კვ მ, 12 ათას კაცზე — 8400 კვ მ

საცხოვრებელი რაიონების, პატარა ქალაქებისა და სამრეწველო დაბების, აგრეთვე, სამრეწველო საწარმო-ახალმშენებლობათა დასახლებების გაშენებისა და რეკონსტრუქციის დროს სავალდებულო სპორტულ ნაგებობათა სია



სპორტული ბირთვი (II ტიპი)

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 96×64 მ

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 66×44 მ

ჩოგბურთის ორი მოედანი, თვითეული 36×18 მ

ფრენბურთის ორი მოედანი

კალათბურთის ორი მოედანი

* რიკაობის მოედანი

კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი 1200 კვ მ

სპორტული კორპუსი დარბაზით (30×18 მ), ღია საცურაო აუზით (25×10 მ) და მოსამზადებელი სავარჯიშო მოედნით

სასროლო ტირი — 50 მ

სამეურნეო კორპუსი (II ტიპი)

საპირფარეშო

ათასი ადგილი მაყურებლისთვის

* **საქართველოში იგი შეიძლება შეიცვალოს.**



სპორტული ბირთვი (I ტიპი)

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 96×64 მ

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 66×44 მ

ჩოგბურთის ორი მოედანი, თვითეული 36×18 მ

ფრენბურთის ოთხი მოედანი

კალათბურთის სამი მოედანი

რიკაობის მოედანი.

ორი კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი, თვითეული 1200 კვ მ

სპორტული კორპუსი 2 დარბაზით (30×18 მ და 12×18 მ), ღია აუზით (25×15 მ) და მოსამზადებელი სავარჯიშო მოედნით.

სასროლო ტირი — 50 მ

სპორტული კორპუსი დარბაზით 30×18 მ

სამეურნეო კორპუსი (II ტიპი)

საპირფარეშო

ტრიბუნა 3 ათასი ადგილით

სპორტული მშენებლობის აუცილებელი ობიექტები

დასახლება 7(6-8) და 10(9-11) ათასი კაცისთვის

სპორტული ბირთვი (II ტიპი)

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 96×64 მ

ჩოგბურთის მოედანი 36×18 მ

ფრენბურთის სამი მოედანი

კალათბურთის მოედანი

რიკაობის მოედანი

კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი 1200 კვ მ

სპორტული კორპუსი დარბაზით 24×12 მ

სამეურნეო კორპუსი (III ტიპი)

საპირფარეშო

ათასი ადგილი მაყურებლისთვის

დასახლება 12-16 ათასი კაცისთვის

სპორტული ბირთვი (II ტიპი)

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 96×64 მ

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 66×44 მ

ჩოგბურთის ორი მოედანი, თვითეული 36×18 მ

ფრენბურთის ოთხი მოედანი

კალათბურთის ორი მოედანი

რიკაობის მოედანი

კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი 1.200 კვ მ

სპორტული კორპუსი დარბაზით 30×18 მ, ღია აუზით (25×10 მ) და მოსამზადებელი სავარჯიშო მოედნით

სასროლო ტირი 50 მ

სამეურნეო კორპუსი (II ტიპი)

საპირფარეშო

ათასი ადგილი მაყურებლისთვის

ქალაქი 20-25 ათასი მცხოვრებით

სპორტული ბირთვი (I ტიპი)

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 96×64 მ

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 66×44 მ

ჩოგბურთის ორი მოედანი, თვითეული 36×18 მ

კალათბურთის ოთხი მოედანი

რიკაობის მოედანი

ორი კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი, თვითეული 1200 კვ მ

სპორტული კორპუსი ორი დარბაზით (30×18 მ და 12×18 მ), ღია აუზით (25×15 მ) და მოსამზადებელი სავარჯიშო მოედნით

სპორტული კორპუსი დარბაზით 30×18 მ

სასროლო ტირი — 50 მ

სამეურნეო კორპუსი (II ტიპი)

საპირფარეშო

ტრიბუნა 3 ათასი ადგილით



სპორტული ბირთვი (I ტიპი)

ტყორცნის მინდორი

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 110×75 მ

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 96×64 მ

ფეხბურთის საწვრთნელი მინდორი 66×44 მ

ჩოგბურთის ოთხი მოედანი, თვითეული 36×18 მ

ფრენბურთის ექვსი მოედანი

კალათბურთის ოთხი მოედანი

რიკაობის მოედანი

ბადმინტონის სამი მოედანი

სამი კომპლექსური ფიზკულტურული მოედანი, თვითეული 1200 კვ მ

სპორტული კორპუსი 2 დარბაზით 30×18 მ, ღია აუზით (25×15 მ) და მოსამზადებელი სავარჯიშო მოედნით

სასროლო ტირი — 50 მ

სპორტული კორპუსი 2 დარბაზით (30×18 მ და 18×12 მ), ღია აუზით (25×14 მ)

პავილიონი-გასახდელი ფიზკულტურელებისთვის

სამეურნეო კორპუსი (I ტიპი)

საპირფარეშო

ტრიბუნა 5 ათასი მაყურებლისთვის

ზემოაღნიშნული ობიექტები შეიძლება ორ რიგად აშენდეს, — მეორე რიგის სამშენებლო ობიექტებისთვის აუცილებელია ფართობის წინასწარი გამოყოფა. ეს არ ეხება სამრეწველო საწარმო-ახალმშენებლობათა დასახლებებს, სადაც სპორტნაგებობათა მშენებლობა ერთდროულად ხორციელდება.

სპორტულ ნაგებობათა სიაში შეტანილი არ არის საერთო საქალაქო მნიშვნელობის სპეციალიზებული ობიექტები, რომელთა მშენებლობაც შეიძლება განხორციელდეს სპეციალური დავალების მიხედვით, სპორტული ნაგებობების საქალაქო და სადაბო ქსელის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ფეხ ბურ თი 67

[illegible]

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატმა მიაღწია XV ტურს. მაგრამ მატჩების ასეთი რაოდენობა ჩატარებული აქვს მხოლოდ ოთხ გუნდს, დანარჩენებს, ე. ი. 15 მონაწილეს, ნათამაშები აქვს 14-14 შეხვედრა.

4 ივლისის ტური ერთ-ერთი ცენტრალური იყო მიმდინარე გათამაშებაში. თავად განსაჯეთ: კიეველთა მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან", მოსკოვის „დინამოს" გამოსვლა მინსკში და ბაქოელთა შეხვედრა მოსკოვის არმიელებთან!

სენსაციად თუ არა, საკმაოდ მოულოდნელად უნდა ჩაითვალოს „ნეფტიანიკისა" და ცსკა-ს მატჩის შედეგი ბაქოში. მასპინძელთა გამარჯვებაში გასაკვირი არაფერია, გარდა დიდი ანგარიშისა. მას შემდეგ, რაც არმიელებმა გამოასწორეს მდგომარეობა და ზედიზედ 8 მატჩი მოიგეს, 0:4-ზე წაგება, მართლაც, ხაოცარია. თუმცა ბაქოელებს წლეულს უკვე აქვთ ამ მატჩის გარდა 2 გამარჯვება დიდი ანგარიშით: 3:0 და 5:0. მათი თავდასხმა ყველაზე შედეგიანია — 27 გოლი. პირველი ბურთი ამ შეხვედრაში გაიტანა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ე. მარქაროვმა, მეორე გოლის ავტორი იყო ა. ბანიშევსკი, მესამისა — ყ. ტუაევი, მეოთხისა — კვლავ ბანიშევსკი.

მოსკოვის დინამოელებმა შეინარჩუნეს ლიდერობა და მინსკში ძალიან ძნელი ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს ადგილობრივი თანაკლუბელები. ანგარიში გახსნა გ. ევრიუჟიხინმა, მეორე ბურთი გაიტანა ი. ჩისლენკომ და მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო ე. მალოფეევმა.

„სპარტაკმა" უკიდურესად მარცხიანი სტარტის შემდეგ წარმატებით ჩაატარა საპასუხისმგებლო მატჩების სერია და ცხრილის ზემო ნახევარში გადაინაცვლა: განვლილ ტურში სპარტაკელებმა შინ დიდი ანგარიშით დაამარცხეს „ზენიტი"— 3:0 (2 ბურთი გაიტანა ვ. ამბარცუმიანმა, 1 — ვ. იანკინმა). აღსანიშნავია, რომ მოსკოველთა უფროს მწვრთნელს ნ. სალნიკოვს გუნდის მზადებაში ეხმარება ცნობილი სპეციალისტი გ. კაჩალინი.

მეორე გამარჯვება ჩაიწერა ჩემპიონატში „ჩერნომორეცმა": ოდესაში მან მოუგო მატჩი მოსკოვის რკინიგზელებს — 1:0. ერთადერთი გოლის ავტორია ვ. მოსკალენკო.

„კრილია სოვეტოვი" ცნობილია იმით, რომ არც მოწინააღმდეგის კარს აწუხებს მაინცდამაინც გადაჭარბებული აგრესიით და არც საკუთარს ტოვებს უმეთვალყუროდ. ამიტომაა, რომ ამ გუნდს ყველაზე მეტი „ნეიტრალური" ფრე (0:0) უწერია სატურნირო ცხრილში. მართალია, წინა ორ ტურში კუიბიშეველებმა სრულიად მოულოდნელად დაარღვიეს ეს ტრადიცია და ჯერ „ზენიტი" დაამარცხეს უჩვეულო ანგარიშით (4:0), ხოლო შემდეგ ასევე უჩვეულოდ წააგეს შეხვედრა ბაქოში — 0:3. ასეთი ორმხრივი გულუხვობის შემდეგ „კრილია სოვეტოვი" კვლავ ჩაიკეტა თავის „დაბეტონებულ ნაჭუჭში" და ერევანში ფრედ ითამაშა — 0:0.

გუშინ როსტოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და „ზარია". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0.

„ა" კლასი I ჯგუფი

საქართველოს პირველობა

2 ივლისს გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატის I წრის ბოლო შეხვედრები.

● „სამცხე" (აწყური) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი ა. ხიანოზოვი (თბილისი).

მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს ზურგქარი და დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში. უპირატესობა მათ ხელიდან შემდეგაც არ გაუშვიათ. თუმცა მეორე ბურთი ჩოხატაურელთა კარში გატანილ იქნა მხოლოდ ტაიმის დასასრულს (ხელაძე). სტუმრებმა სრული გარდატეხა შეიტანეს თამაშში შესვენების შემდეგ და, მაინც, მათ მიერ შექმნილი ბევრი მომენტიდან საპასუხო გოლით დამთავრდა მხოლოდ ერთი.

● „დურუჯი" (ყვარელი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ს. ალექსეევი (თბილისი).

სტუმრებმა თავიდანვე მონდომებით შეუტიეს „დურუჯს" და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს მის კართან, მაგრამ როცა არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული, მასპინძლები უფრო თამამად ამოქმედდნენ და 32-ე წუთზე ბეროშვილმა პირველი ბურთი გაგზავნა „კოლმეურნის" კარში. ამის შემდეგ წალენჯიხელებს მეორედ მოუხდათ ცენტრიდან თამაშის დაწყება და კვლავ ბეროშვილის მიერ გატანილი ბურთის შემდეგ.

● „ისანი" (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).

● „ქართლი" (გორის რაიონი)— „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

მიმდინარეობდა მატჩის მე-6 წუთი, როცა გორელმა კოზინმა 30 მეტრიდან გაგზავნა ბურთი წულუკიძელთა კარის ზედა კუთხეში. მეორე ტაიმში „ფეიქარი" გულმოდგინედ იბრძოდა საპასუხო ბურთის გასატანად, რაც შეძლო კიდეც ხანოძემ.

● ასკ (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:2. მსაჯი ვ. ლარინი (რუსთავი).

ვერც ერთმა გუნდმა საინტერესო ვერაფერი აჩვენა პირველ ტაიმში. მასპინძელთა ინერტულობა „მესხეთმა" მთელი შესაძლებლობით გამოიყენა შესვენების შემდეგ, როცა ზადიკაშვილმა გახსნა ანგარიში, ხოლო ჯორბენაძემ განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება.

● „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 1:2. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).

წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან და ქაჩიბაიამ პირველი ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში. იმავე ქაჩიბაიამ მეორედ აიძულა ტყვარჩელელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ამის შემდეგ „მეშახტემ" მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

● „გარეჯი" (საგარეჯო) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

მახარაძელთა ენერგიული იერიშები მე-18 წუთზე გოლით დაამთავრა თურმანიძემ. საპასუხო ბურთის გატანა „გარეჯმა" შეძლო მხოლოდ მატჩის მიწურულში (ჩიბერაშვილი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:3. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „განთიადი" (ბორჯომი) 4:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

● „აერო" (გალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „ოდიში" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:5. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).

* * *

წინა ტურებში გამოტოვებული მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „მესხეთი" (ახალციხე) — „ისანი" (თბილისი) 3:0, „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0, ასკ (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0.

ცხაკაიას „კოლხეთისა" და გორის რაიონის „ქართლის" მატჩში გორელთა შემადგენლობაში თამაშობ[illegible] შეხვედრაში მინდვრის [illegible] ბურთელი. ამის გამო „ქართლს" ჩაეთვალა დამარცხება.

* * *

დომთავრდა I ჯგუფის II ქვეჯგუფის II ზონის გუნდების შეხვედრათა შედეგები: „ცეცხლაური" (ქობულეთის რაიონი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 3:0, „ლაითური" (მახარაძე) — „კოლხიდმშენი" (ფოთი) 1:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:1, „სულორი" (ვანი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „განთიადი" (აბაშა) 2:0, „კოლხეთი" (ხობი) — „დინამო" (ოჩამჩირე) 2:2, „ზემო ქართლი" (ხაშური) — „განახლება" (ადიგენი) 2:0, მაიაკოვსკის „საირმეს" წაგება ჩაეთვალა საჩხერის „ჭიხურასთან" შეხვედრაში.

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 5 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	21	14	4	3	41—13	32
„დურუჯი" (ყვარელი)	21	12	6	3	39—21	30
„მერცხალი" (მახარაძე)	21	9	10	2	29—12	28
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	21	11	6	4	31—20	28
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	20	11	3	6	29—14	25
„სინათლე" (თბილისი)	21	9	7	5	20—11	25
„კოლხეთი" (ცხაკაია)	21	9	7	5	31—24	25
„მესხეთი" (ახალციხე)	20	9	6	5	27—19	24
„ნარინჯი" (ბათუმის რაიონი)	21	7	9	5	26—23	23
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	21	8	6	7	29—20	22
„გარეჯი" (საგარეჯო)	21	7	8	6	29—25	22
„განთიადი" (ბორჯომი)	21	9	4	8	24—36	22
„აერო" (გალი)	21	7	4	10	25—27	18
„ფეიქარი" (წულუკიძე)	21	6	6	9	21—26	18
ასკ (თბილისი)	21	7	4	10	19—29	18
„ქართლი" (გორის რაიონი)	20	6	5	9	15—21	17
„სპარტაკი" (ცხინვალი)	20	5	6	9	23—25	16
„სამცხე" (აწყური)	20	4	7	9	12—26	15
„ისანი" (თბილისი)	21	3	8	10	13—33	14
„ბახმარო" (ჩოხატაური)	20	3	6	11	18—29	12
„ოდიში" (ზუგდიდი)	21	3	6	12	13—37	12
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	21	2	6	13	14—38	10

თბილისის გუნდები და ფოთის „კოლხეთი"

თბილისში დამთავრდა „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ფინალური ტურნირი.

გათამაშების ბოლო დღეს ფრედ ითამაშეს თბილისის „ლოკომოტივმა" და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა — 1:1. თბილისის „დინამომ" მოუგო ქუთაისის „ტორპედოს" — 2:0, ხოლო ფოთის „კოლხეთმა" — სოხუმის „დინამოს" — 2:1.

ამრიგად, ტურნირში გამარჯვება მოიპოვა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან: „ლოკომოტივი" (თბილისი), „დინამო" (თბილისი), „კოლხეთი" (ფოთი), „ტორპედო" (ქუთაისი), „დინამო" (სოხუმი).

საკავშირო გათამაშების ნახევარფინალებში მონაწილეობას მიიღებს პირველად დასახელებული 4 გუნდი.

[illegible]

◆ თელავი

სოფ. ნაფარეულში გაიმართა შეხვედრა ფეხბურთში ადგილობრივ და ფშაველ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ფშაველმა ფეხბურთელებმა.

ზ. ჯაჯვაძე.

სარბიელზე — მეხანძრეები

9 და 10 ივლისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდება საქართველოს III ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. პირველობისთვის იბრძოლებს რესპუბლიკის 10 საუკეთესო გუნდი. შეჯიბრებას ინტერესს შემატებს სომხეთისა და ხარკოვის მეხანძრე სპორტსმენთა მონაწილეობა.

ასპარეზობის პროგრამაში შეტანილია ვარჯიშის ოთხი სახეობა, რომლებიც კარგად გამოხატავენ მეხანძრეთა პროფესიის თავისებურებას. ესაა წინაღობებით 100 მეტრზე რბენა, სახანძრო ესტაფეტა 4×100 მეტრზე, საიერიშო კიბით ასვლა მეოთხე სართულის ფანჯრამდე, სამმუხლიანი კიბის დამაგრება და მესამე სართულის ფანჯარაში გადასვლა.

სპორტსმენი საბრძოლო ტანსაცმელში გამოწყობილი ასრულებს ვარჯიშს. ფორმა კი თითქმის 5 კილოგრამს იწონის. მთავარია სიმსუბუქე, სისწრაფე, ეფექტურობა. სწორედ მრავალმხრივი ფიზიკური წრთობა და საუცხოო მომზადება სჭირდება მეხანძრეს განგაშის შემთხვევაში.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტი ხელს უწყობს ყველა ამ თვისების განვითარებას. მეხანძრეები სპორტში „წარმოებისგან მოუწყვეტლივ" მეცადინეობენ — სამსახურის შესრულების დროს.

სპორტული თვალსაზრისით შეჯიბრება ძალიან მიმზიდველი სანახაობაა. მაყურებელი პირველი წუთებიდანვე დაძაბული ადევნებს თვალს ასპარეზობას... ეგეც არ იყოს, ჩვენს სპორტსმენებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი ოსტატობით. სიმამაცემ, კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ, ვარჯიშების სირთულემ განაპირობა მათი წარმატება, მაგალითად, 12 ქვეყნის სახანძრო გუნდების საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც შარშან იუგოსლავიაში გაიმართა, საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს ხანძრის თავიდან აცილებისა და ქრობის საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტის ოქროს დიდი მედლები და დიპლომები.

1968 წლის ზაფხულში სსრ კავშირში ჩატარდება სოციალისტური ქვეყნების I ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. შეჯიბრების პროგრამას საფუძვლად დაედება საბჭოთა სპორტსმენების ვარჯიშები.

მეხანძრეთა სპორტი მსოფლიო სარბიელზე გავიდა და საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. ამ 30 წლის წინათ კი არც ორგანიზაციული სტრუქტურა იყო გამომუშავებული, არც ზუსტი წესები. არ იყო სათანრიგო ნორმები და ტექნიკური მოთხოვნები, ერთიანი ფორმა. მას შემდეგ სახანძრო-გამოყენებითი სპორტი წლიდან წლამდე ვითარდება და თანდათან უფრო სრულყოფილი ხდება.

იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს სპორტსმენები სსრ კავშირის ბრინჯაოს პრიზიორები არიან, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. ახლა ისინი გაცხოველებით ემზადებიან „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობისთვის, რომელიც ივლისის მიწურულს ლენინგრადში გაიმართება. ნაკრები დაკომპლექტდება იმ სპორტსმენებით, რომლებიც საქართველოს III ჩემპიონატში გამოიჩენენ თავს.

სსრ კავშირში დიდი მუშაობა ტარდება საიმისოდ, რომ შეიქმნას სათანადო სასწავლო ბაზა სახანძრო-გამოყენებითი სპორტისთვის. ამ სახეობაში წვრთნის საკითხებს შეისწავლის ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტი. უკვე მომწიფდა საკითხი, რომ გვქონდეს წვრთნის მეთოდიკის კონკრეტული მონაცემები, სპორტული ტექნიკის თანმიმდევრული ანალიზი, კინოგრამები, სასწავლო-მეთოდური ფილმები და სხვ. ეს იმიტომაცაა აუცილებელი, რომ მეხანძრეთა მუშაობა დღითიდღე რთულდება.

ა. მამულაშვილი,
სახანძრო დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — დაბრკოლებათა გადალახვა; მარჯვნივ — ცეცხლმქრობი მეხანძრის ხაიმედო მეგობარია.

ფოტო გ. ნალჯიანისა.





ცამეტი წლის გზა

1954 წელს დიდოსტატმა ი. ავერბახმა რიგაში „დაუგავას“ მოჭადრაკეთა გუნდი გაიცნო. გუნდს ორი ყმაწვილი თავკაცობდა: მ. ტალი და ა. გიპსლისი.

— სად აღმოაჩინეთ ეს რძეშეუმშრალი ბიჭები? — უკითხავს ავერბახს ა. კობლენცისთვის.

— რძეშეუმშრალი? — ღიმილით გაუმეორებია კობლენცს. — შენ კიდევ გაიგებ ამ ბიჭების ამბავს.

მართლაც, მალე მიხეილ ტალი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მისი მეგობარი აივარი კი ნელა, თანმიმდევრულად მიიწევდა მწვერვალისკენ. 1961 წელს გიპსლისი ვ. სმისლოვთან, პ. კერესსა და რ. ხოლმოვთან ერთად მივიდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინიშთან.

წლეულს რიგელმა მოჭადრაკემ ჯერ სსრ კავშირის (ჩვენი ქვეყნის 34-ე ჩემპიონატში), მერე კი საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა შეასრულა (მოსკოვის ამასწინანდელ ტურნირში). ამასთან, მან პირველად მოიპოვა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში თამაშის უფლება.

— არ შევცდები, თუ ვიტყვი, — ამბობს ავერბახი, — აივარი ერთ-ერთი პირველი იქნება მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლებისთვის ბრძოლაში.

გიპსლისი 30 წლისაა. იგი, რიგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ლატვიურ საჭადრაკო ჟურნალ „შახსში“ მუშაობს თეორიული განყოფილების რედაქტორად. თანამედროვე საჭადრაკო თეორიის აღიარებული სპეციალისტი მყარ პოზიციურ სტილში თამაშობს.

თ. ნინოშვილი.

სურათზე: ა. გიპსლისი თამაშის დროს.

ფოტო ა. სააკოვისა.

დავეუფლოთ ენდშპილს

ენდშპილი საჭადრაკო პარტიის დასკვნითი ნაწილია და მისი ცოდნა აუცილებელია ყველასთვის, ვისაც სურს ჭადრაკში დაოსტატდეს. შემთხვევითი როდია, რომ ახალბედებს, პირველ ყოვლისა, უმარტივეს ენდშპილებს ასწავლიან.

პარტიის დაბოლოება მოჭადრაკისთვის ყველაზე ძნელია. მემატიანე თითებზე ჩამოთვლის ენდშპილის უბადლო ვირტუოზებს. მაგალითად, ე. ლასკერის ხელოვნებაზე ლეგენდებს ჰყვებიან. ხ. კაპაბლანკას თამაშს საათის მექანიზმის სიზუსტეს ადარებენ. ა. ალიოხინი, მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი და ტ. პეტროსიანი თანამედროვეთა შორის ენდშპილის დიდებული თამაშით გამოირჩევიან.

ჭადრაკის ბევრ თაყვანისმცემელს არ უყვარს ენდშპილი. იგი მშრალ, უსიცოცხლო სარბიელად მიაჩნია და ცდილობს ბრძოლის ბედი დებიუტში ან მიტელშპილში, მოხდენილი კომბინაციით გადაწყვიტოს. როგორც წესი, ასეთი მოჭადრაკეები „ცურავენ“ ენდშპილში, რომელიც ზუსტ ცოდნას მოითხოვს. კომბინაცია ჩვენს დროში ყოველთვის როდია შესაძლებელი.

თუ კი ჭადრაკში მართლაც არის მეცნიერების ელემენტი, ეს უპირველესად ენდშპილის თეორიას შეეხება. იგი ზუსტი მეცნიერებაა. ბევრ დიდ სწავლულს (მათემატიკოსებს ეილერს, ბუგაევს, მარკოვს) უცდია მათემატიკური აპარატის მოშველიებით შეესწავლა ესა თუ ის ენდშპილი.

როგორ და საიდან დავიწყოთ ენდშპილის შესწავლა, რას მივაქციოთ მთავარი ყურადღება?

საბედნიეროდ, ამ საკითხზე არსებობს გ. ლევენფიშის, ვ. სმისლოვის, ი. ავერბახის, ა. სოკოლსკის, ა. რაბინოვიჩის, გ. ლისიცინის და სხვების სქელტანიანი შრომები.

ენდშპილის დაუფლება უმარტივესი დაბოლოებების შესწავლით იწყება. აუცილებელია ოსტატთა პარტიების გარჩევა, ცოდნისა და ტექნიკის თამაშით შემოწმება. მაგრამ, პირველ ყოვლისა, მთავარია ჩასწვდე ენდშპილის არსს, კანონზომიერებას, მისი გათამაშების მეთოდებს. ე. ლასკერი ამბობდა: ყველა პოზიციის და ვარიანტის დამახსოვრება ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომ საჭიროა ღრმად ჩასწვდე მეთოდს და მეხსიერებაში ჩაილურსმოო.

აი, მეთოდის ცოდნის მნიშვნელობა.



მხედრების ენდშპილი ისე უნდა ითამაშო, როგორც პაიკთა დაბოლოება. პაიკთა ენდშპილში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შორსმდგარ გამსვლელ პაიკს. ამიტომ ამ ენდშპილში (ე. ლასკერი — ა. ნიმცოვიჩი, ციურიხი, 1934 წ.) შავები გამარჯვებისთვის მსგავსი დაბოლოების ყველა ხერხს იყენებენ.

1. ... b6 (საჭიროა მეტოქეს გადაეცეს სვლა, რადგან შავებს 1. ... b5 2. მf4 მc6+ 3. მფd3 მფc5 4. მe6+ მფd6 5. მf4 შემდეგ არ შეუძლიათ პოზიციის გაძლიერება). **2. მf4 b5 3. მh3 მc6+ 4. მფe3 მფc5 5. მფd3 b4 6. ab+ მფ:b4 7. მფc2 მd4+ 8. მფb1 მe6 9. მფa2 მფc4 10. მფe3 მფd4 11. მფ:a4 მფ:e4 12. b4 მფf3 13. b5 მფg2** თეთრები დანებდნენ.

ენდშპილის თეორიაში არსებობს ტექნიკური დაბოლოებებიც. მათი ცოდნა საგრძნობლად აადვილებს თამაშის გეგმის შემუშავებას, საბოლოო მიზნის დანახვას. ტექნიკის დაუფლებას დიდად უწყობს ხელს ეტიუდების ამოხსნა.

მოჭადრაკე მუდამ უნდა მუშაობდეს პარტიის დასკვნით ნაწილზე, თამაშში ზოგჯერ შეგნებულად უნდა მიილტვოდეს ენდშპილისკენ, რათა ღრმად შეისწავლოს იგი. ენდშპილს არ უყვარს აჩქარება. სიდინჯე, წინდახედულება, გამჭრიახობა მისი ოსტატური თამაშის აუცილებელი პირობაა.

თ. გიორგაძე.

ყველაზე ლამაზი და დრამატული

მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ბევრი პარტია სპეციალური პრიზებით აღინიშნა. ყველაზე დიდი მოწონება წილად ხვდა მ. ტალის პარტიას ი. ბილეკთან (უნგრეთი), რომელსაც ერთდროულად ორი პრიზი მიენიჭა: სილამაზისთვის (გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“) და დრამატული ბრძოლისთვის (გაზეთი „ლიტერატურნაია გაზეტა“).

აი, ეს პარტიაც:

ბილეკი — ტალი

ძველინდური დაცვა თეთრებით

1. მf3 მf6 2. g3 b5 (უჩვეულო სვლა. ტალი გართულებებს ეძებს) **3. კg2 კb7 4. 0—0 e6 5. d3 d5 6. მbd2 კe7 7. e4 0—0 8. ლe2 c5 9. ეe1 მc6 10. c3 a5.**

ტალის აგრესიული ზრახვები რისკიანი ჩანს.

11. ed (გონივრული გაცვლა, რაც ამუხრუჭებს შავების ინიციატივას ლაზიერის ფრთაზე) **11. ... ed** (და არა 11. ... მ:d5 12. a4 და მხედრისთვის c4 უჯრის დაპყრობით) **12. d4 ლb6 13. dc კ:c5 14. მb3 ეfe8 15. ლc2 d4.**

ტალი თავის სტიქიაშია. იგი უკიდურესობამდე ართულებს პოზიციას, სადაც ტაქტიკური ბრძოლა დიდ გამჭრიახობას მოითხოვს.

16. ლf5 (ბილეკი ჩასწვდა პოზიციის საიდუმლოებას და კარგად თამაშობს. მისი მიზანია მოსპოს ტალის კოზირი — პაიკი d4). **16. ... ე:e1+ 17. მ:e1 ეe8 18. მf3 კd6 19. კg5!**

ბილეკი სახიფათო მუქარებს ქმნის. ტალს ხელს არ აძლევს პაიკების დასუსტება მეფის ფრთაზე — 19. ... dc 20. კ:f6 gf 21. bc, პოზიციურად ეს უფრო სწორი უნდა იყოს, მაგრამ ტალი გაიტაცა დრამატულმა სიტუაციამ.

19. ... მe4 20. ეe1 მe7.



ტალმა თქვა, რომ აქ იგი ხედავდა თეთრი ლაზიერის შეწირვის შესაძლებლობას, მაგრამ განსაცდელიდან თავის დაღწევის იმედი მაინც ჰქონდა.

ბილეკს უნდა ეთამაშა: 21. ე:e4 მ:f5 22. ე:e8+ კf8 23. მe5! მუქარით 24. ე:f8+ ან 24. მd7. თამაში შეიძლება ასეც გაგრძელებულიყო: 23. ... ლc7 24. კ:b7 ლ:b7 25. მc5 ლd5 26. მcd7 h6 27. მ:f8 და თეთრი კუ ხელუხლებელი დარჩებოდა. — 27. ... hg 28. მfg6+ მფh7 29. ეh8×.

საინტერესოა, რომ ტალს გამოუთვლია ზემომოყვანილი ვარიანტი, მაგრამ 24. კ:b7-ზე მოუმზადებია 24. ... h6. ბილეკს ვერ უნახავს 23. მe5. იგი 23. მ:d4-ის თამაშს აპირებდა.

21. კ:e7? g6!

გონებამახვილი შუალედური სვლა. თეთრი ლაზიერი ბრძოლის ველიდან იდევნება.

22. ლh3 dc 23. ე:e4.

აგებდა 23. კ:d6 ლ:f2+ 24. მფh1 ლ:e1+ 25. მ:e1 მf2+ 26. მფg1 მ:h3+ 27. მფf1 კ:g2+ 28. მფ:g2 cb 29. მd2 ეd8.

23. ... cb.

ტალის მრავალსვლიანი კომბინაციის დასასრული. ახლა საშიში როდია 24. მg5, 24. ... h5-ის გამო, ხოლო 24. ლh6 მოჰყვება 24. ... b1ლ+ 25. კf1 ლ:e4.

24. ეe1 ე:e7 25. ეb1 a4 26. მbd4.

წაგებას აჩქარებს. წინააღმდეგობის შანსს იძლეოდა 26. ე:b2 ab 27. ab.

26. ... კ:f3 27. მ:f3 ეe2 28. ეf1 ე:f2 29. ლc8+ მფg7 30. ლc3+f6 ბილეკი დანებდა.



უსიტყვოდ.

ნახ. ა. ერაძისა.

ახალი ამბები

● ოდესა, 5 ივლისი. აქ სტარტი აიღო სსრ კავშირის IX გუნდურმა ჩემპიონატმა რუსულ და საერთაშორისო შაშში. I ტურში ბელორუსიის კოლექტივმა დაამარცხა საქართველოს ნაკრები (7,5:2,5), ხოლო ესტონეთის გუნდმა — ყაზახეთის წარმომადგენლები (7:3). მეორე ქვეჯგუფში მოსკოველებმა მოუგეს მოლდავეთის მოშაშეებს (7,5:2,5), უზბეკეთის წარმომადგენლებმა კი — სომხეთის ნაკრებს (7:2. ერთი პარტია გადადებულია). მესამე ქვეჯგუფში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა უკრაინისა და ლატვიის მოშაშეთა შორის. გაიმარჯვეს უკრაინელებმა — 6:4. აზერბაიჯანის გუნდმა აჯობა ყირგიზეთის ნაკრებს — 7,5:2,5. შეჯიბრებები 15 ივლისამდე გასტანს.

...და კვლავ „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“

ჟენევა, 5 ივლისი. კვლავ, მაგრამ ამჯერად თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში კი არა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში შეხვდება კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი გლაზგოს „სელტიკს“, თანაც, პირდაპირ ტურნირის დასაწყისში.

ეს ცნობილი გახდა დღეს, აქ ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ (ტურნირში ჩვენი კონტინენტის 32 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს).

გაგახსენებთ: კიეველები ორჯერ შეხვდნენ „სელტიკს“ — 1966 წლის 12 იანვარს გლაზგოში (0:3) და ორი კვირის შემდეგ — თბილისში (1:1). ამ მატჩების შემდეგ „დინამო“ გამოეთიშა თასების მფლობელთა თასის გათამაშებას. ნეტავ ახლა რა იქნება?

მეორე საბჭოთა გუნდი — მოსკოვის „ტორპედო“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩებში შეხვდება ცვიკაუს (გდრ) „მოტორს“.

ორივე შეჯიბრების პირველი წრის თამაშები ა. წ. 15 ოქტომბრამდე უნდა ჩატარდეს.



◆ ბელგრადი, 5 ივლისი. ოთხი ქვეყნის წყალბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე მატჩში მოსკოვის ნაკრები ეთამაშა იუგოსლავიის დედაქალაქის წარმომადგენლებს. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 6:6.

◆ **ბუდაპ**, 5 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 43,5:28,5.

◆ მონრეალი, 5 ივლისი. დღეს აქ გაიხსნა მოფარიკავეთა 32-ე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც გამოდიან 25 ქვეყნის წარმომადგენლები. სპეციალისტები ოქროს მედლების ბევრ პრეტენდენტს ასახელებენ, მათ შორის, მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონებს ტ. სამუსენკოს, გ. სვეშნიკოვს, ა. ნიკანჩიკოვს (ყველა — სსრ კავშირი) პოლონელ ესპადრონისტს ე. პავლოვსკის... საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში 20 სპორტსმენია, მათ შორის, ქართველი დაშნით მოფარიკავე გ. კოსტავა. ასპარეზობა გაიმართება 6-16 ივლისს.

◆ **ლონდონი, 5 ივლისი.** უიმბლდონის ტურნირში კვლავ იმარჯვა ბაკშეევა—დმიტრიევას წყვილმა, რომელმაც დაამარცხა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლები ე. ემანუელი და მ. გოდეინი — 7:5, 6:0. მესამე წრეში დამარცხდა თ. ლეიუსისა და გ. ბაკშეევას შერეული წყვილი. მას მოუგო ინგლისურმა დუეტმა — კ. და პ. ტრუმენებმა — 6:4, 7:5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 6 უე 09857